ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ნელი ვარდიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – გ. მ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.02.2016

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 008/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ხ-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრისმოთხოვნა: ადვოკატ მ. ხ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2016 წლის 08 თებერვალს ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. მ-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ხ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ მ. ხ-ს მიმართა საადვოკატო მომსახურეობის მისაღებად 2014 წლის 10 ოქტომბერს, რომელმაც თავის მხრივ დააკავშირა ადვოკატ ხ. ხ-თან, რომელსაც გადაუხადა თანხა, თუმცა მან არ განახორციელა საადვოკატო მომსახურეობა, რის გამოც კვლავ მიმართა ადვოკატ მ. ხ-ს საადვოკატო მომსახურეობის მისაღებად 2015 წლის ივლისის თვეში და მასთან გააფორმა მინდობილობა. მას საადვოკატო მომსახურება სჭირდებოდა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა სარჩელი სასამართლოში აღძრა 2015 წლის აგვისტოში, ადვოკატი არასრულყოფილად იცავდა მის ინტერესებს, მან სარჩელში მოწმედ დასაკითხ პირთა სიაში არ მიუთითა მის მიერ მიწოდებული პირები, შეცდომით მიუთითა მოსარჩელის მისამართი, საერთოდ არ მიუთითა წარმომადგენლის მონაცემები და არ

დაურთო ადვოკატისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რათა მოპასუხეს აენაზღურებია აღნიშნული თანხა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატთან კომუნიკაცია იყო რთული, როცა უკავშირდებოდა, ადვოკატი ეუბნებოდა, რომ მის საქმეზე ჯერ სხდომა არ იყო ჩანიშნული. საბოლოოდ მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღო მხარეთა დაუსწრებლად.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. ხ მას შეხვდა სასამართლოს კანცელარიაში და გადასცა დოკუმენტები, თან განუმარტა, რომ საქმის გამომძიებელს შ. ს-ს ვერ უჩივლებდა და ვერ მიუთითებდა მას სარჩელში, რადგან მას სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას დააკისრებდნენ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ხ.-მ 2016 წლის 14 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტავს, რომ როდესაც მასთან გ. მ პირველად მივიდა, იმ პერიოდისათვის იყო საჯარო მოხელე, ამიტომ საქმის საწარმოებლად გაუშვა ადვოკატ ხ. ხ-თან. რამოდენიმე თვის შემდეგ კი, როცა აღარ იყო საჯარო მოხელე, გ. მ-ის სურვილით ჩაერთო მის საქმეში.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მისი საქმეში ჩართვის მომენტისათვის ადვოკატ ხ. ხ-ს მოქმედებები ჰქონდა განხორციელებული სისხლის სამართლის კუთხით. შემდეგ რადგან კლიენტი ითხოვდა მისთვის მიყენებული ზიანის სამოქალაქო წესით ანაზღაურებას, მან და ხ. ხ-მა ერთობლივად შეადგინეს სარჩელი, გააცნეს კლიენტს და შეიტანეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში, მაგრამ საქმე განსჯადობით ეკუთვნოდა ქარელის მაგისტრატ მოსამართლეს და ხაშურის რაიონულმა სასამართლომ განჩინებით უარი უთხრათ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მათ განსჯადობით მიმართეს ქარელის მაგისტრატ მოსამართლეს. საქმეზე მოპასუხე მხარემ არ შემოიტანა შესაგებელი, რის გამოც მოსამართლემ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორს სურდა, რომ სასამართლო სხდომა ჩატარებულიყო ზეპირი მოსმენით, სადაც დაიკითხებოდნენ მოწმეებიც, ამიტომ მათ შესთავაზეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება, კლიენტი დაეთანხმათ, თუმცა რამდენიმე დღეში ადვოკატ ხ. ხ-გან წაიღო ყველა მისი დოკუმენტი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან შეგნებულად არ მიუთითა თავისი მონაცემები სარჩელში, რადგან მოპასუხე მხარისათვის სარჩელის ჩაბარება უზრუნველეყო თავად სასამართლოს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, გადახდილი თანხის ქვითარი, მისთვის არ გადაუცია საჩივრის ავტორს და ვერ დაურთავდა სარჩელს, ხოლო საადვოკატო მომსახურების ჰონორარი 600 (ექვსასი) ლარი და 100 (ასი) ლარი ხარჯებისათვის გ. მ-მ გადასცა ადვოკატ ხ. ხ-ს.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მას ხ. ხ-მა განუმარტა, რომ გ. მ-ს ყველა დოკუმენტი დაუბრუნა უკან.

2.7 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია გაძნელებულ კომუნიკაციასთან დაკავშირებით არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან ყოველთვის ჰქონდა სატელეფონო კავშირი მასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასამართლო პროცესზე იყო. მომჩივანი მასთან სახლშიც მიდიოდა და არასდროს ყოფილა არაინფორმირებული.

2.8 ადვოკატის განმარტებით, სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ, მუდმივი კონტაქტი ჰქონდა მოსამართლის თანაშემწესთან, აგრეთვე ორჯერ ჩავიდა ქარელის რაიონულ სასამართლოში ავტომობილით.

2.9 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე 2016 წლის 24 ნოემბერს ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მისთვის გ. მ-ს არანაირი თანხა გადაუცია და სარჩელს ვერ დაურთავდა საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2016 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მ. ხ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა სარჩელს არ დაურთო საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, შესაძლოა დარღვეულად ჩაითვალოს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატის მიერ მისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობასთან დაკავშირებით - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის ფარგლებში და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნული ნორმის დარღვევა არ დასტურდება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2015 წლის ივლისის თვიდან. მხარეებს შორის რწმუნებულება გაფორმებულია 2015 წლის 23 ივლისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ-ის 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ მ. ხ-ის 2016 წლის 14 მარტის განმარტება;

მხარეთა შორის 2015 წლის 23 ივლისს გაფორმებული N მინდობილობა.

4.1.2 ადვოკატ მ. ხ-ის საქმეში ჩართვამდე გ. მ-ის საქმეს სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის წესით აწარმოებდა ადვოკატი ხ. ხ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ-ის 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ მ. ხ-ის 2016 წლის 14 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 24 ნოემბრის სხდომის ოქმი.

4.1.3 საჩივრის ავტორს ადვოკატ მ. ხ-თვის საადვოკატო მომსახურების თანხა არ გადაუცია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ-ის 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ მ. ხ-ის2016 წლის 14 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 24 ნოემბრის სხდომის ოქმი.

4.1.4 ადვოკატმა 2016 წლის 17 აგვისტოს სამოქალაქო საქმეზე სარჩელით მიმართა ქარელის მაგისტრატ მოსამართლეს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ-ის 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ მ. ხ-ის2016 წლის 14 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 24 ნოემბრის სხდომის ოქმი;

2015 წლის 17 აგვისტოს სარჩელი (მოსარჩელე გ. მ, მოპასუხე - ჯ. გ., მ. გ.).

4.1.5 2015 წლის 28 ოქტომბერს სასამართლომ გ. მ-ის სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე N მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

გ. მ-ის 2016 წლის 08 თებერვლის საჩივარი;

ადვოკატ მ. ხ-ის 2016 წლის 14 მარტის განმარტება;

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2016 წლის 24 ნოემბრის სხდომის ოქმი;

2015 წლის 28 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქმეზე N.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ხ-ისმიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ხ-ის მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.2 ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად. კვალიფიციურობა გულისხმობს, რომ ადვოკატმა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ და წარმომადგენლობა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად. ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

6.3 ადვოკატის მიერ შერჩეული ტაქტიკისა და საპროცესო მოქმედებების არსებითი შეფასება, მათი ხარისხის შემოწმების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ეთიკის კომისია იზიარებს მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით: ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და, შესაბამისად, წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.“

6.4 კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, ადვოკატის ვალდებულება მოიცავს საქმის მომზადების ეტაპსაც. ეთიკის 2010 წლის 23 სექტემბრის N035/10 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატს ევალება მოამზადოს საქმე სასამართლოში წარსადგენად და მოიპოვოს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისთვის.“

6.5 კომისია მიიჩნევს, რომ თუ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს სასამართლოში წარმოადგენს და, კლიენტის მოთხოვნის მიუხედავად, არ ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოქმედებებს, როგორიცაა შუამდგომლობათა დაყენება, მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა, მხოლოდ სასამართლო სხდომებზე დასწრება ვერ შეფასდება კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ საადვოკატო მომსახურებად. ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურება არ უნდა დაემსგავსოს ფორმალურ წარმომადგენლობას, ვინაიდან კლიენტი იმის გამო სარგებლობს ადვოკატის მომსახურებით, რომ მას აქვს ის სპეციალური ცოდნა და უნარები, რაც კლიენტს არ გააჩნია.

6.6 გ. მ-სა და ადვოკატ მ. ხ-ს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2015 წლის ივლისის თვიდან და მათ შორის 2015 წლის 23 ივლისს გაფორმდა N მინდობილობა. ადვოკატს უნდა ეწარმოებინა გ. მ-ის სამოქალაქო საქმე - სარჩელით უნდა მიემართა სასამართლოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ადვოკატი მ. ხ საქმეს აწარმოებდა ადვოკატ ხ. ხ-თან ერთად. ადვოკატმა ხ. ხ-მა გ. მ-ის საქმეზე სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს, რომლის განსჯადიც არ იყო აღნიშნული დავა. შესაბამისად, ადვოკატმა მ. ხ-მ განსჯადობით შეიტანა სარჩელი ქარელის მაგისტრატ მოსამართლესთან. 2015 წლის 28 ოქტომბერს საქმეზე N სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გ. მ-ის სარჩელი.

6.7 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. გ. მ-ის ინტერესში შედიოდა ადვოკატებს სარჩელისათვის დაერთოთ საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (მხარეები თანხმდებიან, რომ გ. მ-მ საადვოკატო მომსახურების თანხა გადასცა

ადვოკატ ხ. ხ-ს), რათა ადვოკატის ხარჯი დაკისრებოდა მოპასუხე მხარეს. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ რადგან საადვოკატო მომსახურების თანხა კლიენტისაგან უშუალოდ აიღო ადვოკატმა ხ. ხ-მა, ადვოკატი მ. ხ საქმეს ვერ დაურთავდა საადვოკატო მომსახურების თანხის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს - რომელიც მას ობიექტურად ვერ ექნებოდა, თუ ადვოკატი ხ. ხ არ გადასცემდა. კოლეგიას მიაჩნია, ადვოკატ მ. ხ-ს გ. მ-ისთვის გაწეული საადვოკატო მომსახურებით არ დაურღვევია საქმის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმოების ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, 37-ე მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №008/16 ადვოკატ მ. ხ-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32).

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიისწევრი: /ნელი ვარდიაშვილი/